

შპს “სათნო”

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

30 აპრილი, 2024 წელი

სარჩევი

სრული შემოსავლი ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6
ზოდაგი ინფორმაცია	8
ორგანიზაცია და საქმიანობა	8
ბიზნეს გარემო	8
მომზადების საფუძველი	9
ფუნქციონირებადი საწარმო	9
გაანგარიშების საფუძველი	9
საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა	9
საატრიცხო პოლიტიკა	10
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10
ძირითადი საშუალებები	10
არამატერიალური აქტივები	11
მარაგები	11
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
ვალდებულებები	12
კაპიტალი	12
შემოსავალი	12
ხარჯები	12
ზარალი	12
განმარტებითი შენიშვნები	13
ამონაგები	13
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13
სხვა ხარჯები	14
სხვა საოპერაციო შემოსავალი	15
ცვეთა	15
წმინდა ფინანსური შემოსავალი	15
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	16

სარჩევი - გაგრძელება

მარაგები	16
ფული და ფულის ექვივალენტები	17
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გრძელვადიანი)	17
საგადასახადო აქტივი	17
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
გრძელვადიანი ვალდებულებები	18
კაპიტალი	18
ბალანს შემდგომი მოვლენები	18

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022 წელი	31 დეკემბერი 2021 წელი
ამონაგები	2.1	15 547 060,16	14 019 689,00
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2.2	- 14 570 615,57	- 12 792 459,00
შრომის ანაზღაურება		- 506 929,47	- 407 449,00
სხვა საოპერაციო ხარჯები	2.3	- 469 800,69	- 1 529 164,00
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2.4	437 642,40	
ცვეთა	2.5	- 165 019,77	- 239 606,00
საოპერაციო მოგება/ზარალი		272 337,06	- 948 989,00
წმინდა ფინანსური შემოსავალი	2.6	- 203 494,86	- 255 059,00
ფინანსური შედეგი საკურსო სხვაობიდან		1 191 060,27	236 782,00
მოგება დაბეგვრამდე		1 259 902,47	- 967 266,00
მოგების გადასახადი		-	
მოგება/ზარალი		1 259 902,47	- 967 266,00

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022 წელი	31 დეკემბერი 2021 წელი
ფული და ფულის ექვივალენტები	2.9	764 266,40	3 420 744,00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2.10	1 519 967,21	2 276 501,00
მარაგები	2.8	855 391,44	1 555 619,00
საგადასახადო აქტივი	2.12	7 054,38	30 630,00
სულ მიმდინარე აქტივები		3 146 679,43	7 283 494,00
ძირითადი საშუალებები	2.7	9 156 509,99	7 735 568,00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2.11	628 295,03	
სულ გრძელვადიანი აქტივები		9 784 805,02	7 735 568,00
სულ აქტივები		12 931 484,45	15 019 062,00
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2.13	2 121 855,94	6 030 228,00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2 121 855,94	6 030 228,00
გრძელვადიანი ვალდებულებები	2.14	382 188,69	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		382 188,69	0,00
კაპიტალი	1.7	9 706 110,97	9 527 408,00
გაუნაწილებელი მოგება		-538 573,62	428 692,00
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		1 259 902,47	-967 266,00
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		12 931 484,45	15 019 062,00

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2022 დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	9 904 506,67	428 691,89
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		- 967 265,51
საწესდებო კაპიტალის ზრდა		
მესაკუთრეზე განაწილება	- 377 098,67	
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	9 527 408,00	- 538 573,62
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1 259 902,47
საწესდებო კაპიტალის ზრდა	178 702,97	
მესაკუთრეზე განაწილება		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	9 706 110,97	721 328,85

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
მოგება წლის განმავლობაში		1 259 902,47	- 967 265,51
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	2.5	165 019,77	
მოგება(ზარალი) ძირითადი საშუალებების გასვლიდან			
ფინანსური შემოსავალი	2.4	- 437 642,40	255 058,73
ფინანსური ხარჯი	2.3;2,6	276 682,08	
მოგება საკურსო სხვაობიდან		- 1 191 060,27	- 236 781,93
		72 901,65	- 948 988,71
(ზრდა) კლება საოპერაციო აქტივებში:			
მარაგებში		700 227,93	117 486,61
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		128 327,65	- 852 112,79
მიმდინარე საგადასახადო აქტივი		- 49 563,64	36 462,15
ზრდა (კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		- 3 479 640,40	2 242 961,40
მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, საპროცენტო ვალდებულებებისა და მოგების გადასახადის გადახდამდე		- 2 627 746,81	595 808,66
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		- 2 627 746,81	595 808,66
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი	2.6	- 203 494,86	- 255 058,73
ძირითადი საშუალებების შეძენა		- 1 148 319,37	- 16 516,05
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		- 1 351 814,23	- 271 574,78
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალით მიღებული ფულადი სახსრები		982 901,31	- 377 098,64
გრძელვადიანი სესხის ცვლილება (ზრდა/კლება)	2.14	452 211,74	
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		1 435 113,05	- 377 098,64
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)		- 2 544 447,99	- 52 864,76

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3 420 744,00	3 503 718,15
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	- 112 028,88	- 30 108,98
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	764 267,13	3 420 744,41

შპს „სათნოს“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება, ზოგად ინფორმაციასთან, სააღრიცხვო პოლიტიკასა და განმარტებით მენიშვნებთან ერთად დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ:

მარიამ არობელიძე /
დირექტორი

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება - შპს სატნო

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3 420 744,00	3 503 718,15
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	- 112 028,88	- 30 108,98
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	764 267,13	3 420 744,41

შპს „სატნოს“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება, ზოგად ინფორმაციასთან, სააღრიცხვო პოლიტიკასა და განმარტებით შენიშვნებთან ერთად დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ:

მარიამ არობელიძე

დირექტორი



ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს “სათნო” (შემდგომში - „კომპანია“) დაარსდა 2000 წლის 14 ივნისს, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის სამართლებრივი ფორმით, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს „შეწარმეთა შესახებ კანონში“.

კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: ლარნაკას ქუჩა #21 ქ. ფოთი, საქართველო. კომპანიის მარეგისტრირებული ორგანო არის ფოთის სასამართლო, კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია 215110252.

კომპანია ფლობს ნავთობბაზას, რომელიც შედგება შვიდი მიწისზედა რეზერვუარისაგან და ამავდროულად წარმოადგენს საბაჟო საწყობს, ასევე სხვა ნავთობბაზას რომელიც შედგება შედარებით მცირე ზომის 14 რეზერვუარისაგან, ორ ბენზინგასამართ სადგურს, მარკეტს, კაფეს, ავტონაწილების მაღაზიას, ავტოსამრეცხაო და ტექნიკური მომსახურების ბოქსებს და სასწყობე ფართებს, ასევე სასტუმროს დაუმთავრებელი მშენებლობის სახით. კომპანიის შემოსავალი შედგება ზემოაღნიშნული ობიექტების ოპერირებით მიღებული შემოსავლისაგან, კერძოდ:

1. კომპანია ახორციელებს დიზელის ტიპის საწვავით საბითუმო ვაჭრობის საქმიანობას, რისთვისაც იყენებს საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფ ნავთობბაზას (საბაჟო საწყობი) მდებარეს ქ. ფოთში ლარნაკას 21-ში, რომელიც აღჭურვილია სარკინიგზო ინფრასტრუქტურით და შესაძლებლობას იძლევა სარკინიგზო ვაგონების საშუალებით ტრანსპორტირდეს, როგორც იმპორტირებული ასევე შიდა ბაზარზე შეძენილი, დიზელის საწვავი შესაბამის რეზერვუარებამდე, სადაც კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად შესაძლებელია დაყოვნდეს საბაჟო პროცედურების გავლამდე (განბაჟება) 6 თვიდან 2 წლამდე პერიოდით. აღნიშნული მიზნით გამოიყენება ასევე მეორე ნავთობბაზაც, რომელიც მდებარეობს ქ. ფოთში კოკაიას ხეივნის #1-ში, სადაც საწვავი გაყიდვამდე, უკვე საბაჟო პროცედურების გავლის (განბაჟების) შემდგომ, ინახება.
2. ბენზინგასამართი სადგურები: ერთი მდებარე კოკაიას ხეივნის #1-ში და მეორე მდებარე ქ. ხობში ცოტნე დადიანის 235-ში. ხორციელდება სხვადასხვა ტიპის საავტომობილო საწვავის საცალო გაყიდვა.
3. ბენზინგასამართ სადგურებთან მდებარე ობიექტები: კომპანია ასევე ოპერირებას უწევს კაფე/მარკეტს და ავტონაწილების მაღაზიას, მდებარეს კოკაიას ხეივნის #1-ში, ასევე ამავე მისამართზე იჯარით გაცემული აქვს ავტოსამრეცხაო და ტექნიკური მომსახურების ბოქსები. ამავდროულად კომპანია ოპერირებას უწევს ქ. ხობში ცოტნე დადიანის 235-ში. მდებარე ერთ მარკეტს.
4. კომპანია ასევე ფლობს სხვადასხვა ზომის სასაწყობე ფართებს, რომლების განლაგებულია საბაჟო საწყობის გვერდით ქ. ფოთში, საიდანაც პერიოდულად იღებს შემოსავალს მათი გაიჯარების შემთხვევაში. ასევე ამავე მისამართზე განთავსებულია ელექტრონული სასწორი, რომლის ექსპლოატაციისგანაც კომპანია ასევე იღებს მცირე შემოსავალს

ბ) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. თუმცა ვინაიდან ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია იმპორტირებული საწვავი პროდუქტების გაყიდვასთან, რაც თავისმხრივ გარდა ევროპული ქვეყნების ბაზრებისა, უკავშირდება სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის რუსეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის ქვეყნების ბაზრებს, შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია არამხოლოდ

განვითარებული ევროპული ქვეყნების და საქართველოს შიდა, არამედ სხვა ქვეყნების ეკონომიკურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. შესაბამისად აღნიშნული გავლენები აისახება მოცემულ ანგარიშგებაშიც.

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი საადრიცხო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ხელმძღვანელობა ასევე განმარტავს, რომ პირველად იყენებს საერთაშორისო სტანდარტს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის („მსს ფასს“) შესაბამისად 2022 წლის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების შედგენისას.

აღნიშნული ანგარიშგება შედგენილია 2024 წლის 15 აპრილს.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია საქართველოში.

გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს. უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები - ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს და ხოლო ევროსათვის კი 2.8844 ლარს.

1. საადრიცხვო პოლიტიკა

1.1 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

1.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. საწარმო ძირითადი საშუალების ღირებულებას აქტივად აღიარებს თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმო ძირითად საშუალებას თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მის ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს; ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და საშუალო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის; აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა მიზნებისთვის, რაც დაკავშირებული არ არის მოცემულ პერიოდში მარაგის წარმოებასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია ყველა ძირითად საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

კომპანია აქტივის ცვეთად ღირებულებას ანაწილებს სისტემატურ საფუძველზე, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სტანდარტის მიხედვით ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიდწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, შეიძლება იმის მიმანიშნებელი იყოს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. შესაბამისად საწარმომ გადახედა წინა შეფასებებს და შეცვალა აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები. აღნიშნული ანგარიშგებაში განხილულია როგორც საადრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოცემულია როგორც საადრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით მიღებული შემოსავალი.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრისას კომპანიამ გაითვალისწინა:

საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი (დატვირთვა). აქტივის დატვირთვა ფასდება აქტივის მოსალოდნელი სიმძლავრის ან ფიზიკური მწარმოებლურობის მიხედვით;

სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია ისეთ საწარმოო ფაქტორებზე, როგორიცაა ცვლების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც გამოყენებული იქნება აქტივი და საწარმოს სარემონტო სამუშაოებისა და მიმდინარე ტექნოლოგიების გეგმა, ასევე აქტივის შენახვისა და ტექნოლოგიების წესი მისი მოცდენის პერიოდში;

ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც გამოწვეულია საწარმოო პროცესის ცვლილებით ან გაუმჯობესებით, ან ბაზრის მოთხოვნის ცვლილებით მოცემული აქტივის მეშვეობით წარმოებულ საქონელზე ან მომსახურებაზე;

აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

1.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე. ასეთი აქტივი იდენტიფიცირებადად მიიჩნევა მაშინ, როდესაც: განცალკევებადია, ე.ი. შესაძლებელია მისი განცალკევება, ან გამოყოფა საწარმოდან და გაყიდვა, გადაცემა, ლიცენზიით ან იჯარით გაცემა, ან გაცვლა ცალკე, ან მასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებასთან, აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად; ან წარმოიქმნება სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებებიდან, მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა ამ უფლებების გადაცემა, ან განცალკევება საწარმოსგან ან სხვა უფლებებისა და ვალდებულებებისგან.

კომპანია არამატერიალურ აქტივებს აღიარებს მაშინ როდესაც: მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა; შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება; და აქტივი შექმნილი არ არის რომელიმე არამატერიალურ ერთეულზე საწარმოს ფარგლებში გაწეული დანახარჯების შედეგად. შექმნილი არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს: მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე და უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს. არამატერიალური აქტივები იცვითება სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

1.4 მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა მიღების რიგითობის პრინციპს, გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე და მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლის გაწევაც საჭიროა მარაგების შესაძენად, საწარმოებლად, გადასამუშავებლად და დანიშნულების ადგილამდე მისატანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მარაგების მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული მათი დასრულებისა და გაყიდვის ხარჯები

1.5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები გამოხატულია რეალიზაციის თანხით, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და გარიგებების საფუძველზე. კომპანია არ ახორციელებს და არ აღრიცხავს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხებს. რაც შეეხება სავაჭრო მოთხოვნებსა და სასამართლო დავებს, კომპანია მათ გამოყოფილად ცალ-ცალკე აღრიცხავს და პერიოდულად განიხილავს აღნიშნული მოთხოვნების მიღებასთან დაკავშირებულ რისკებს, მათი საბოლოოდ ჩამოწერის მიზნებისათვის.

1.6 ვალდებულებები

ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ: მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით; უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში მაინც. ყველა სხვა სახის ვალდებულება მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებად.

1.7 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის კაპიტალს რომელიც გამოსახულია ფულადი ფორმით და მისი ზრდისა ან კლების შემთხვევაში აისახება ამავე ანგარიშზე.

1.8 შემოსავალი

შემოსავლის მოიცავს ამონაგებსა და შემოსულობას: ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში და ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით, მაგალითად: ამონაგები საქონლის გაყიდვიდან, ამონაგები მომსახურების გაწევიდან, პროცენტი, დივიდენდები, როიალტი და საიჯარო ქირა; შემოსულობა გულისხმობს სხვა მუხლებს, რომლებიც აკმაყოფილებს შემოსავლის განმარტებას, მაგრამ არ წარმოადგენს ამონაგებს. როდესაც საწარმო სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებს შემოსულობებს, ისინი, როგორც წესი, განცალკევებულ მუხლებად აისახება, რადგან ამ ინფორმაციის ცოდნა სასარგებლოა მომხმარებელთათვის, ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

1.9 ხარჯები

ხარჯების ცნება მოიცავს ზარალს და ასევე ისეთ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში: საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში წარმოშობილი ხარჯებია, მაგალითად: გაყიდული საქონლის თვითღირებულება, ხელფასები და ცვეთა. როგორც წესი, საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესთან დაკავშირებული ხარჯები პრაქტიკაში სხვადასხვა სახის აქტივების შემცირებით ან საწარმოდან გასვლით გამოიხატება, როგორცაა, მაგალითად ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები, მარაგი ან ძირითადი საშუალებები). მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

1.10 ზარალი

მოიცავს სხვა მუხლებს, რომლებიც აკმაყოფილებს ხარჯების განმარტებას და შეიძლება წარმოიშვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. როდესაც საწარმო სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებს ზარალს, იგი განცალკევებულ მუხლად აისახება, რადგან ამ ინფორმაციის ცოდნა სასარგებლოა მომხმარებელთათვის, ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით.

2. განმარტებითი შენიშვნები**2.1 ამონაგები**

რეალიზაცია ნავთობბაზებიდან		1 378 211,14
რეალიზაცია აგეს-ებიდან და მათთან არსებული მაღაზიებიდან	13 900 652,98	
იჯარა		115 490,88
ავტონაწილების მაღაზია ფოთი		130 538,54
სხვა მომსახურება და საქონელი		22 166,62
		15 547 060,16

რეალიზაცია ნავთობბაზებიდან - ძირითად სარეალიზაციო პროდუქტს წარმოადგენს საავტომობილო დიზელის საწვავი, რომელიც იმპორტირებულია და განთავსებულია საბაჟო საწყობის რეზერვუარებში შესანახად, საბაჟო კონტროლის ქვეშ. კომპანია ეტაპობრივად ახორციელებს აღნიშნული საწვავი პროდუქტის განბაჟებას და გადატანას თავის კუთვნილ ბენზინგასამართ სადგურებში საცალო რეალიზაციის მიზნით, ხოლო მეორე ნავთობბაზაში კი საბითუმო რეალიზაციის მიზნით.

რეალიზაცია აგეს-ებიდან და მათთან არსებული მაღაზიებიდან - აქ ხორციელდება როგორც კომპანიის კუთვნილი საბაჟო საწყობიდან ტრანსპორტირებული დიზელის საწვავის, ასევე შიდა ბაზარზე შეძენილი სხვადასხვა საავტომობილო საწვავის: დიზელის და სხვადასხვა ოქტანობის ბენზინის საცალო რეალიზაცია. ამასთანავე ამ მუხლში ასევე გაერთიანებულია კაფე/მარკეტისა და მარკეტის რეალიზაცია, რაც თავისთავში გულისხმობს მზა საკვები პროდუქციის, რომელიც მზადდება ადგილზე, სასურსათო პროდუქციის, სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციას.

იჯარა - ამ მუხლში ერთიანდება კომპანიის კუთვნილი სხვადასხვა ობიექტის იჯარით დროებით სარგებლობაში გადაცემის შედეგად მიღებული შემოსავლები, კერძოდ ტექნოსახურებისა და სამრეცხაო ბოქსებისა და სასაწყობე ფართების იჯარა.

ავტონაწილების მაღაზია - ამ მუხლში მოცემულია ავტონაწილების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი

სხვა მომსახურება და საქონელი - ამ მუხლში მოცემულია კომპანიის კუთვნილი სასწორიდან, ასევე ტექნიკის გაქირავებითა და სხვადასხვა საქონლისა თუ ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი.

კომპანია 2021 წელსაც აღნიშნულ საქმიანობას ეწეოდა და შესაბამისად მისი ამონაგები 14 019 688.84 ლარს შეადგენდა.

2.2 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

საწვავის თვითღირებულება	13 901 029,99
ნორმატიული დანაკარგი	14 509,35
კაფის მომსახურების თვითღირებულება	66 629,72
მარკეტში რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	362 427,29
ავტომაღაზიის საქონლის თვითღირებულება	104 808,98
სხვა რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	121 210,24
	14 570 615,57

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება აერთიანებს მუხლებს სხვადასხვა ობიექტზე განხორციელებული საქმიანობების მიხედვით, კერძოდ:

საწვავის ღირებულება მოიცავს როგორც ნავთობბაზებიდან ასევე ბენზინგასამართი სადგურებიდან რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას, ხოლო ნორმატიული დანაკარგი კი საწვავის დანაკარგის ოდენობას გამოსახულს ფულად ერთეულში. კომპანიის 2022 წლის საწვავის დანაკარგები არ არემატება შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებს.

2.3 სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები	წინა წლების კორექტირება	2022 წელი	სულ
საკანცელარიო და საოფისე ხარჯები		3 311,57	3 311,57
სამეურნეო და ჰიგიენური		18 161,74	18 161,74
პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების ხარჯები		4 986,47	4 986,47
სპეცტანსაცმელი და უსაფრთხოების საშუალებები		11 929,20	11 929,20
საკომუნიკაციო (კავშირგაბმულობა, ფოსტა და ინტერნეტი)		2 685,72	2 685,72
დაცვის მომსახურება		11 593,31	11 593,31
მცირეფასიანი ინვენტარი		378,48	378,48
კომუნალური		77 926,92	77 926,92
გარემოს დაცვის		1 593,00	1 593,00
დაზღვევა		21 869,64	21 869,64
სამივლინებო		2 195,00	2 195,00
საბანკო		30 822,44	30 822,44
სხვადასხვა		31 195,71	31 195,71
იურიდიული, აუდიტორული და საკონსულტაციო		1 952,49	1 952,49
იჯარა		3 389,76	3 389,76
ავტოტრანსპორტის მოვლისა და ინსპექტირების ხარჯები		65 478,96	65 478,96
საგადასახადო (ქონების)		77 464,29	77 464,29
საგადასახადო (მიწის)		17 594,50	17 594,50
სხვა ხარჯები		4 672,69	4 672,69
ჯარიმები და სანქციები	73 187,22	7 411,58	80 598,80
	73 187,22	396 613,47	469 800,69

სხვა ხარჯები დაყოფილია მიზნობრივობის შესაბამისად.

რაც შეეხება წინა წლების კორექტირების შედეგად 73 ათასი ლარით ხარჯების ზრდას, აღნიშნული გამოწვეულია კომპანიის მიერ გასული წლების განმავლობაში (2021 წელსა და მანამდე 2016 წლიდან პერიოდს) საგადასახადო ჯარიმების არასრულყოფილად აღმინისტრირებას საბუღალტრო პროგრამაში. შესაბამისად მოხდა შედარება და სხვაობა შემოსავლების სამსახურის გვერდზე კომპანიის პირად ბარათსა და ბუღალტრულ მონაცემებს შორის აღიარდა ხარჯად მიმდინარე წელს. კომპანია სხვა ხარჯები 2021 წელს 1 529 164.35 შეადგენდა.

2.4 სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი	437 642,40
	437 642,40

კომპანიამ 2022 წელს დანერგა ახალი საადრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც თუკი მანამდე პერიოდში ძირითადი საშუალებების, დაუმთავრებელი მშენებლობისა და არამატერიალური აქტივების ანგარიშები აღრიცხული იყო ჯამურად აქტივების ჯგუფების მიხედვით, ჯამური ისტორიული ღირებულებით, შესაბამისად ჯამურად ერიცხებოდა ცვეთა და ჯამურად აღირიცხებოდა კომპანიის ბალანსზე შესაბამისი ჯგუფების მიხედვით, მიმდინარე პერიოდში კომპანიამ შექმნა შესაბამისი ბაზა, სადაც თითოეული ძირითადი საშუალება, დაუმთავრებელი მშენებლობა, არამატერიალური აქტივი აღირიცხება ინდივიდუალურად საკუთარი ისტორიული ღირებულებით, სასარგებლო მომსახურების ვადით, რომელიც გამომდინარეობს კომპანიის ხელმძღვანელობის მსჯელობიდან თუ რა ვადის განმავლობაში მოელის კომპანია ეკონომიკურ სარგებელს აღნიშნული აქტივის გამოყენებიდან (აქტივის ტექნიკური, ტექნოლოგიური და მუშა მდგომარეობის გათვალისწინებით) და შესაბამისად დააკორექტირა თითოეული ცვეთადი აქტივის ნარჩენი საბალანსო ღირებულება. ამავდროულად არის გასწორებული ზემოაღნიშნულთან დაკავშირებული წინა პერიოდის შეცდომებიც, თუმცა ვინაიდან აღნიშნული შეცდომების გასწორებაც უკავშირდება საადრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას, ცვლილების შედეგად დაანგარიშებული ღირებულება სრულად არის ასახული სხვა შემოსავლების მუხლში და ჯამურად 438 ათას შეადგენს.

2.5 ცვეთა

წინა წლების 2022 წელი
კორექტირება

ამორტიზაციის ხარჯი	-165019,77
	-165 019,77

მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი შეადგენს 165 ათას ლარს. დაუმთავრებელ მშენებლობას, ძირითად საშუალებებს ექსპლოატაციაში შესვლამდე და მრავალწლიან ნარგავებს ცვეთა არ ერიცხებათ. 2021 წლის ამორტიზაციის ხარჯი 239 605,57 ლარს შეადგენდა.

2.6 წმინდა ფინანსური შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი	36 848,98
საპროცენტო ხარჯი	-240 343,84
	-203 494,86

ასახავს სხვაობას საპროცენტო ხარჯებსა და საპროცენტო შემოსავლებს შორის. საპროცენტო ხარჯები მოიცავს კომპანიის საკრედიტო ვალდებულებებთან დაკავშირებულ ხარჯებს, ხოლო საპროცენტო შემოსავლები კი სადეპოზიტო და მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ნაშთებზე დარიცხულ შემოსავლებს, ასევე გაცემული სესხების შედეგად დარიცხულ საპროცენტო შემოსავლებს. 2021 წლის წმინდა ფინანსური შემოსავალი -255 058,73 ლარს შეადგენდა.

2.7 ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები დაყოფილია შემდეგ ჯგუფებად და 2022 დასრულებული წლისათვის ბალანსზე აღირიცხება:

მიწის ნაკვეთები	1 189 140,31
დაუმთავრებელი მშენებლობა	4 727 229,36
შენობა-ნაგებობები	1 988 120,25
მრავალწლიანი ნარგავები	27 690,12
მანქანა-დანადგარები	75 979,03
კავშირგაბმულობის საშუალებები	22 260,90
კომპიუტერული და პერიფერიული მოწყობილობები	24 276,30
ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	52 772,82
სატრანსპორტო საშუალებები	171 973,36
დეკორაციები	5 079,70
ძირითადი საშუალებები ექსპლოატაციაში შესვლამდე	866 528,75
ჩამოსაწერი ძირითადი საშუალებები	93,60
პროგრამული უზრუნველყოფა	5 365,49
	9 156 509,99

ძირითადი საშუალებები 2021 დასრულებული წლისათვის ჯამურად 7 735 537,83 ლარს შეადგენდა.

2.8 მარაგები

კომპანიის მარაგები 2022 დასრულებული წლისათვის შეადგენს:

საწვავი	471 916,37
საქონელი (გასაყიდად განკუთვნილი)	173 674,55
ნედლეული და მასალები	149 761,65
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	60 038,87
	855 391,44

2022 წელს საწვავის, საქონლის და სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგებიდან 14 571 ათასი ლარი აღიარდა ხარჯად. 2021 წელს მარაგების ჯამური ოდენობა 1 555 619,37 ლარს შეადგენდა.

2.9 ფული და ფულის ექვივალენტები

2022 წელი

ეროვნული ვალუტა სალაროში	10 989,74
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	436 585,99
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	316 690,67
	764 266,40

ფული და ფულის ექვივალენტები 2021 დასრულებული წლისათვის 3 420 744,41 ლარს შეადგენდა.

2.10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2022 წელი

	სესხის %	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		1 202 303,22
გაცემული სესხები	20%	200 716,36
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		28 142,63
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები		88 805,00
		1 519 967,21

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ჯამურად 2021 დასრულებული წლისათვის 2 276 500,57 შეადგენდა.

2.11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გრძელვადიანი)

საექვო მოთხოვნები	557 262,23
სასამართლოში წარდგენილი მოთხოვნები	71 032,80
	628 295,03

2.12 საგადასახადო აქტივი

საგადასახადო აქტივი - მოთხოვნა ბიუჯეტის მიმართ შემცირებული საბიუჯეტო ვალდებულებების თანხით 2022 წლის ბოლოსათვის შეადგენს 7054,38 ლარს.

2.13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	748 540,34
გადასახდელი ხელფასები	1 470,00
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	367,50
მოკლევადიანი სესხები	1 371 357,00
გადასახდელი საპენსიო	74,06
წიაღით სარგებლობის გადასახადები	47,04
	2 121 855,94

მოკლევადიან სესხებს წარმოადგენს სარკედიტო ხაზი გაცემული აშშ დოლარში, რომელიც ანგარიშგების შედგენის მომენტისათვის სრულად დაფარულია. 2021 დასრულებული წლისათვის სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთი 6 0300 228,30 ლარს შეადგენდა.

2.14 გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიან ვალდებულებების წარმოადგენს გრძელვადიანი სესხი რომლის ნაშთიც 2022 წლის 31 დეკემბრისათვის გამოსახული ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 382 188, 69 ლარს, ხოლო სესხის გაცემის ვალუტაში - აშშ დოლარში კი 141446,59. სესხი აღებულია 2016 წელს „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში და სრულად ათვისებულია. მისი ჯამური ოდენობა შეადგენდა 400 000 აშშ დოლარს. სესხის მიზნობრივობას შეადგენდა სასტუმროს მშენებლობა და რემონტი და შესაბამისი დანახარჯები მისი გაწევის მომენტში აღიარებულია დაუმთავრებელი მშენებლობის მუხლში. სესხი თავდაპირველად გაიცა 9,5% წლიური საპროცენტო სარგებლით, საიდანაც სახელმწიფოს/სააგენტოს მხრიდან დაფინანსებული იყო 8%, ხოლო კომპანიის წლიურ საპროცენტო ხარჯს შეადგენდა 1,5%-ს. ზემოაღნიშნული თანადაფინანსება, სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე, მოქმედებდა 24 თვის განმავლობაში და მიზნობრივი თანადაფინანსების მაქსიმალურ ჯამურ თნხას შეადგენდა 60 542 აშშ დოლარი. აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდგომ სესხის წლიური საპროცენტო ხარჯი გახდა 6,5% და სრულად დაეკისრა კომპანიას. აღნიშნული საპროცენტო ხარჯი მუდვიმია და ცვლილებას არ ექვემდებარება, არ არის დამოკიდებული რეფინანსირების განაკვეთისა და სხვა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ცვლილებაზე, იგი მოქმედებს სესხის დაფარვარვამდე, სრული პერიოდის განმავლობაში, შესაბამისად საპროცენტო ხარჯსა და გრძელვადიან ვალდებულებას კომპანია აღიარებს მისი რეალური ღირებულებით. 2021 დასრულებული წლისათვის აღნიშნული სესხის ნაშთი შეადგენდა 187075.54 აშშ დოლარს, 2022 წლის განმავლობაში იგი შემცირდა 45628,95 აშშ დოლარით.

2.15 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალს სრულად წარმოადგენს საწესდებო კაპიტალი, რომლის ნაშთიც 2021 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 9527408 ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრისათვის კი 9 706 110,97 ლარს.

3. ბალანს შემდგომი მოვლენები

კომპანიამ 2023 წელს გააფორმა საწვავის შენახვის ხელშეკრულება ქ. ფოთში მდებარე საბაჟო საწყობად რეგისტრირებულ ნავთობბაზაზე და შესაბამისად თავად აღარ ახორციელებს დიზელის საწვავის იმპორტს მისი საბითუმო გაყიდვის მიზნით. 2023 წლის დასაწყისშივე დაიხურა ქ. ხობში მდებარე მარკეტი. 2024 წლის დასაწყისში კომპანიის საკუთრებაში არსებული ორი ბენზინგასამართი სადგური იჯარით გადაეცა სხვა კომპანიას. ზემოაღნიშნულის შესაბამისად საგრძნობლად შემცირდა რისკები დაკავშირებული განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკების კომპანიის ბიზნეს გარემოზე ზემოქმედების კუთხით. რაც შეეხება სავალუტო ოპერაციებს. 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიას სრულად აქვს დაფარული მოკლევადიანი ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი - საკრედიტო ხაზები გაცემული აშშ დოლარში, ხოლო გრძელვადიანი სესხი 2023 წლის ბოლოსათვის შემცირებულია 95075,98 აშშ დოლარამდე.